ოქმი:**ო03.37221081**
თარიღი:**18/04/2022**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 15 აპრილი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, გ. მდინარაძე, გ. შარაშენიძე, ბ.მელუა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალი სტრუქტურისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: გ. ღურჯუმელიძე

2) 2022 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დებულებების პროექტები, კონკრეტულად დადგენილებების პროექტები კომისიის წევრებს წარუდგინა თანამომხსენებელმა -მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძე, რის შემდეგაც სხდომა წარიმართა კითხვა-პაუხის რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა დასვა შეკითხვა-რატომ არაა მითითებული მერის წარმომადგენლების შრომის ანაზღაურების რაოდენობა? განუმარტეს, რომ პროექტებში არის ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც გასწორდება ბიუროს სხდომამდე. კომისიის წევრმა ე. გორდელაძემ აღნიშნა, მისასალმებელია რომ - მერიის სტრუქტურა და სამსახურები თვისობრივად გაუმჯობესებულია. საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტების საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიში, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს მის ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი დადგენილების პროექტები- წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი